საქართველოს სამკურნალო მცენარეების სამედიცინო მნიშვნელობა და გეოგრაფიული თავისებურებანი

მომხსენებელი: მირანდა გურგენიძე
ხელმძღვანელი: პროფ. ნოდარ ელიზაბრაშვილი
ელ.ფოსტა: miranda.gurgenidze2013@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჭავჭავაძის გამზ. #3

ა ნ ო ტ ა ც ი ა

„ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის“ თანახმად, სამკურნალო მცენარეებით მკურნალობა მსოფლიოში მედიცინის ფართოდ გამოყენებადი დარგია. სითეზური ფარმაკოლოგიის განვითარების ფონზე ხალხური მედიცინამ გარკეულწილად უკანა პლანზე გადაინაცვლა, მაგრამ ბოლო რამდენიმე ათწლეულში სამკურნალო მცენარეებისადმი ინტერესი უფრო და უფრო იზრდება (WHO, 2008).

სათანადოდ მოხმარების პირობების შემთხვევაში სამკურნალო მცენარეები ჯანსაღი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. შესაბამისად, მნიშველოვანია სამკურნალო მცენარეების რესურსის რაციონალურად გამოყენება, რაც ამ მცენარეების თვისებების შესწავლის, აღწერის, მათი მოყვანისა და სწორად მოხმარების ცოდნით არის შესაძლებელი.

ადამიანის ჯანმრთელობაზე მცენარეების გავლენის შესახებ უძველესი წყაროებიდან არის ცნობილი. მედიცინისა და ფარმაციის განვითარებამდე ადამიანები მხოლოდ მცენარეული და ცხოველური წამლებით სარგებლობდნენ. სამკურნალო მცენარეებს და მათგან მიღებული ფიტოპრეპარატებს გააჩნიათ ის არსებითი უპირატესობა, რომ ადამიანი იღებს მონათესავე ნივთიერებათა კომპლექსს, ადვილად შეითვისება ორგანიზმის მიერ, იშვიათად იწვევს გვერდით ალერგიულ მოვლენებს და არ გააჩნია აკუმულაციის თვისება (მ. შენგელია, 1979). დღეისათვის არსებული სამკურნალო პრეპარატების დაახლოებით 30% მცენარეული ნედლეულისგან მზადდება. ნედლეულის წყაროდ გამოიყენება როგორც ველურად მოზარდი, ასევე კულტივირებული მცენარეები, ამან გამოიწვია ზოგიერთ რაიონში სასარგებლო მცენარეების რესურსის ამოწურვა. სამკურნალო მცენარეები წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ფარმაცევტული მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის თითქმის ნახევარს.ქართულ ხალხურ მედიცინას უდიდესი დროიდან ეყრება საფუძველი და ქართველ ერს ხალხური მედიცინის უდიდესი თვითმყოფადი კულტურა და ტრადიციები გააჩნია (ჯავახიშვილი, 1934). ჩვენს ქვეყანაში ხალხური მედიცინის მიმართულება ყოველთვის ეპოქის მოთხოვნილებათა დონეზე იყო განვითარებული. დღეს, საქართველო მრავალფეროვან სამედიცინო მცენარეებს იყენებს.

ამგვარად, საქართველოს მრავალფეროვანი სამკურნალო მცენარეების შესახებ ცოდნის გაღრმავება ხელს შეუწყობს ბუნებრივი სამკურნალო საშუალებების ბაზის გაფართოებას და შესაბამისი

დარგების განვითარება - პოპულარიზაციას, რაც თავის მხრივ მოსახლეობისთვის ეკონომიკური სარგებელის მომტანია.